საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №13

ბათუმი 12 მარტი **2020 წ.**

ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად მის წინააღმდეგ ერთიანი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად მის წინააღმდეგ ერთიანი ღონისძიებების განხორციელების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სამსახურში არ გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, უმაღლესი საბჭოს აპარატის ის სახელმწიფო მოსამსახურე, პროფესიული საჯარო მოხელე, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი:

ა) რომელიც ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე ბოლო 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იდენტიფიცირებულ ახალი კორონავირუსის მაღალი გავრცელების ქვეყანაში – საქართველოში დაბრუნებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში;

ბ) რომელიც ამ ბრძანების ძალაში შესვლის შემდეგ დაბრუნდება ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქვეყნიდან – საქართველოში დაბრუნებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში;

გ) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქვეყნიდან ჩამოსულ პირთან ან მასთან ერთად მცხოვრებ პირთან;

დ) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა იმ პირთან, რომელსაც დაუდასტურდა ახალი კორონავირუსი;

ე) რომელსაც აქვს ქრონიკული დაავადება/რაიმე სახის იმუნოდეფიციტი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით;

ვ) რომელიც არის ორსული ქალი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირმა, სახელმწიფო მოსამსახურემ, პროფესიულმა საჯარო მოხელემ, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულმა პირმა:

ა) ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორკვირიანი პერიოდი გაატაროს თვითიზოლაციის წესების დაცვით;

ბ) სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზისა და რისკჯგუფში შემავალ პირთან კონტაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, აგრეთვე აცნობოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს (ვაჟა ცეცხლაძე, ტელეფონი: 598 09 09 07) და გადავიდეს თვითიზოლაციის რეჟიმში.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირმა, სახელმწიფო მოსამსახურემ, პროფესიულმა საჯარო მოხელემ, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულმა პირმა:

ა) ამ ბრძანების პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიუთითოს შესაბამისი პირის ვინაობა;

ბ)შესაძლებლობის შემთხვევაში სამუშაო შეასრულოს დისტანციურად, უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად.

4. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში მყოფ ყველა პირს, დაიცვას ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჰიგიენის წესები.

5. შეიზღუდოს სამსახურებრივი მივლინებები, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა.

6. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირმა, სახელმწიფო მოსამსახურემ, პროფესიულმა საჯარო მოხელემ, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულმა პირმა მწვავე რესპირაციული დაავადების სიმპტომის არსებობის შემთხვევაში მიმართოს ექიმს, აგრეთვე აცნობოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს (ვაჟა ცეცხლაძე, ტელეფონი: 598 09 09 07), თუ საჭიროა თვითიზოლაციის რეჟიმში გადასვლა.

7. ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე:

ა) შეიზღუდოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში თემატური საჯარო ღონისძიებების ორგანიზება გარეშე პირთა მონაწილეობით;

ბ) უმაღლესი საბჭოს აპარატმა უზრუნველყოს გარეშე პირთა დაშვებისა და გადაადგილების რეგულირება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის, ადმინისტრაციული შენობის შემოსაზღვრული ტერიტორიისა და შენობაში უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის 04 აგვისტოს N48 ბრძანების შესაბამისად.

8. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს, სახელმწიფო მოსამსახურეს, პროფესიულ საჯარო მოხელეს, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს შეუნარჩუნდეს შრომის ანაზღაურება.

9. ბრძანება ხელმოწერისთანავე გამოცხადდეს საჯაროდ, ღიად განთავსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის თვალსაჩინო, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. ბრძანება განთავსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.

10. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებს.

11. ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის დაგზავნა და საჯაროდ გამოცხადება უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბრძანების განთავსება უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის დეპარტამენტმა.

12. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ბრძანება ამოქმედდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

დავით გაბაიძე